



საიას დახმარებით ყვარელში 2023 წლის 20 მაისს დაკავებული პირების საქმეები წარმატებით დასრულდა

საია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში იცავდა იმ პირების ინტერესებს, რომლებიც 2023 წლის 20 მაისს, ყვარელში მშვიდობიან შეკრებაში იღებდნენ მონაწილეობას. სამოქალაქო აქტივისტები ყვარლის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოხატავდნენ პროტესტს. პროტესტი მიემართებოდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, ქალიშვილის მიერ თანმხლებ სტუმრებთან ერთად ღონისძიების გამართვას. აღსანიშნავია, რომ ლავროვი და მისი ოჯახი დასაწყვილებულ პირთა სიაში ერთ-ერთი პირველები არიან. როგორც საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციიდან გამოიკვეთა, ყვარლის ტბის სასტუმროს შესასვლელთან განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებული.¹

აქციაზე 10-ზე მეტი აქტივისტი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და მათ მიმართ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სამართალდამცავმა უწყებამ დაინყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე.

დღეს, გურჯაანის რაიონული სასამართლოს დადგენილებით ორივე იმ პირის მიმართ, რომელსაც საია იცავდა, შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რადგან არ დადასტურდა მათი მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

აქვე აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები, რომლებიც დაკავებული პირების უფლებების დასაცავად პოლიციის შენობასთან იმყოფებოდნენ, უკანონოდ ეძღებოდათ ხელი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, რადგან პოლიცია ადვოკატებს არ აძლევდა შესაძლებლობას, მოენახულებინათ დაკავებულები.²

ამ საქმეს საია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აწარმოებს.

1 <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociaciis-ganckhadeba-yvarelshi-mimdinare-movlenebze>

2 <https://gyla.ge/ge/post/advokatebs-dakavebul-aqtivistebtan-ar-ushveben>